ოქმი:**ო02. 3725020001**

თარიღი:**20/01/2025**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2025 წელი, 16 იანვარი
ქ.ოზურგეთი
13.00-13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, ტ. არუშიძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, ნ. სარჯველაძე, გ. შილაკაძე, ვლ. ხავთასი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ქ. ოზურგეთში, ზ. გამსახურდიას მოედანზე („ჭადრების ბაღში“)ცნობილი ქართველი მუსიკოსის, ფოლკლორისტის, კომპოზიტორისა და ხალხური სიმღერების შემკრების, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ანზორ ერქომაიშვილის ბიუსტის განთავსების თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიიდან მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია წინადადება ქ. ოზურგეთში, ზ. გამსახურდიას მოედანზე („ჭადრების ბაღში“), ცნობილი ქართველი მუსიკოსის, ფოლკლორისტის, კომპოზიტორისა და ხალხური სიმღერების შემკრების, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ანზორ ერქომაიშვილის ბიუსტის განთავსების თაობაზე. აღინიშნა, რომ ანზორ ერქომაიშვილი წარმოშობით იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთიდან, მომხსენებელმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მისი ბიოგრაფია და დამსახურებები ეროვნული კულტურის განვითარების, განსაკუთრებით ქართული ხალხური, მათ შორის გურული სიმღერების შესწავლა-აღდგენის და პოპულარიზაციის საქმეში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს, მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ წინადადებას და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხი გადაეგზავნოს შესათანხმებლად შესაბამის სამინისტროს.

გადაწყვიტეს:

მოწონებულ იქნას მერიის მიერ წარმოდგენილი წინადადება და საკითხი გადაეგზავნოს შესათანხმებლად შესაბამის სამინისტროს.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი